ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №119/01/19

ერთის მხრივ **ბოლნისის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მერის მ.შ.-ს ვალენტინა ნავერიანის სახით და მეორეს მხრივ **შპს „მცირე კავკასიონი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ტარიელ ყველაშვილის სახით, დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება" (შემდგომში - "ხელშეკრულება") -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე" , "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" - ხელშეკრულების მე-2 მუხით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 **წარმომადგენლობითი ღონისძიების მომსახურება** (ქ. ბოლნისში, კულტურის სახლში, 2019 წლის 24 მაისს საქართველოს ემიგრანტებისადმი მიძღვნილ საღამოზე " მოწვეული სტუმრებისთვის კვების ხარჯი). (**CPV 55510000**) (სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ვ) ქვეპუნქტი).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1633,95 (ერთიათას ექვსას ოცდაცამეტი ლარი და 95 თეთრი)** ლარს.

3.2. მომსახურების ღირებულება -- მიმწოდებლის ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

3.3. მომსახურების ფასების ცხრილი -- დანართი #1

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს გაწეული მომსახურების შესაბამისად.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 30 დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები:

--გაწეული მომსახურების დასახელება;

--გაწეული მომსახურების მოცულობა;

--გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი კობა ჟღენტი.

6. მომსახურების გაწევის ვადა

6.1. მომსახურების გაწევა მოხდება 2019 წლის 24 მაისს.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. **შემსყიდველი უფლებამოსილია** ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება.

7.2. **შემსყიდველი ვალდებულია** უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. **მიმწოდებელი უფლებამოსილია** მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. **მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით. იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

14. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ბოლნისის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ბოლნისი, ს.ს. ორბელიანის 106
ს/კ 225393963

„მიმწოდებელი“

შპს „მცირე კავკასიონი“
ქ. ბოლნისი, ექვთიმე თაყაიშვილის ქ. N4
ს/კ 225395088
სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22
ა/ა **GE39BG0000000183159000**

Valentina Naveriani
Digitally signed by Valentina Naveriani
Date: 2019.05.23 17:23:03 +04'00'

Tariel Kvelashvili
Digitally signed by Tariel Kvelashvili
Date: 2019.05.23 15:59:48 +03'00'

მუნიციპალიტეტის მერის მ.შ.	დირექტორი
ვალენტინა ნავერიანი	**ტარიელ ყველაშვილი**

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	დასახელება		რაოდენობა	ერთ/ფასი	საერთ/ფასი
1	ყველის ასორტი	პორც.	6	9	54
2	ბადრიჯანი ნიგვზით	პორც.	6	6	36
3	პრასი	პორც.	6	6	36
4	კიტრი-პამიდორის სალათი ოჯახურად	პორც.	6	4	24
5	ნადუღი პიტნით	პორც.	6	3	18
6	ქათმის სალათი	პორც.	6	5	30
7	კალმახი შემწვარი 2ც	პორც.	6	10	60
8	წიწილა ტაბაკა	პორც.	6	14	84
9	ხაჭაპური იმერული	პორც.	6	7	42
10	ლორი-მოხარშულ კარტოფილთან ერთად	პორც.	6	18	108
11	ტოლმა ვაზის ფოთოლში	პორც.	6	6	36
12	ხბოს ჩაშუშული	პორც.	6	8	48
13	ღორის მწვადი	პორც.	12	9	108
14	ქაბაბი	პორც.	12	8	96
15	ბლინი ხორციანი	პორც.	24	0,8	19,2
16	მჭადი	პორც.	24	0,8	19,2
17	შემწვარი გოჭი	პორც.	6	35	210
18	ხიზილალა	პორც.	6	10	60
19	შოთის პური	ცალი.	20	1	20
20	ტყემალი	პორც.	6	1	6
21	საწებელი	პორც.	6	1	6
22	ლიმონათი ნატახტარი შუშა 0,5	ცალი.	20	1,5	30
23	მინერალური წყალი "ბორჯომი" 1ლ	ცალი	10	1,5	15
24	ღვინო ჩამსასხმელი თეთრი 1,5	ცალი	8	7,5	60
25	ყავა უნალექო	ცალი	25	2	50
26	ხილის ასორტი	პორც.	6	10	60
27	ტორტის ნაჭერი	ცალი	6	2	12
28	ეკლერი	ცალი	6	2,5	15
29	შუ	ცალი	6	2,5	15
30	ნაპოლეონი	ცალი	6	3	18
31	სოკო კეცზე	პორც.	6	10	60
32	კარტოფილი მოხარშული კამით	პორც.	6	5	30
				ჯამი	**1485,4**
				მომსახურება	**148,55**
				სულ:	**1633,95**